ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №24

15 აგვისტო 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
15:00 სთ

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახური- ლევან მიქავა
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან ჟორჟოლიანი, გურამი ოქროპირიძე, ანა გოგოლაძე, ნინო წულაძე.
სხდომა თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.(საკრ.№15-032222721-03 15.08 2022წ)
ლევან მიქავას მოხსენებით, მუნიციპალური ინსპექციის წერილობითი მოთხოვნით პროგრამის „უკანონო ნაგებობების დემონტაჟი"(პროგრამული კოდი 02 09 09) წლიური გეგმა იზრდება 100 000 ლარით.
პროგრამის ფარგლებში მაისის თვეში დაკონტრაქტდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 97 416,31 ლარზე და წლის ბოლომდე პროგრამაში საკმარისი რესურსი არ არის. დაბალანსება ხდება „კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში" (პროგრამული კოდი 02 09 15) შესაბამისად შემცირებით.
მომხრე-7
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა** საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**